



გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 140

2023 წლის 11 აგვისტო

ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-2 კვარტლის

შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის მერმა წარმოადგინა გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-2 კვარტლის შესრულების ანგარიში. საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის გათვალისწინებით ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-2 კვარტლის შესრულების ანგარიში თანდართული №1 დანართის მიხედვით (დანართი №1 თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature in blue ink

დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის

ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 23 დეკემბრის №43 დადგენილებით. ექსკლუზიური და დელეგირებული უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები 67 467,6 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო ასიგნებები ორგანიზაციულ ჭრილში 69 167,6 ათ. ლარის ოდენობით, თავისუფალი ნაშთის მიმართვა განხორციელდა 1000,0 ათ. ლარის ოდენობით.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხის და წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის გამოყენებით დამტკიცებულ ბიუჯეტში შევიდა 5 ცვლილება 13 იანვრის №1, 10 თებერვლის №3, 10 მარტის №11, 18 აპრილის №15 და 9 ივნისის №30 დადგენილებებით.

ბიუჯეტის შემოსულობები ცვლილებებით განისაზღვრა - 81 712,7 ათ. ლარით, ხოლო გადასახდელები - 97 906,6 ათ. ლარით. სხვაობა შეადგენს - 16 193,9 ათ. ლარს, რომელიც წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი ნაშთიდან გასული წლის ვალდებულებების და ახალი პროექტების დასაფინანსებლად იქნა მიმართული. (ბალანსი, დანართი - №1 და №2).

მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის შემოსულობები გათვალისწინებულია - 45 266,5 ათ. ლარი, ფაქტიურად მობილიზებულია - 45 819,2 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა - 101,2%. გეგმის ზევით შემოსულია - 552,7 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში გრანტები მიღებულია - 8 948,1 ათ. ლარი, შესრულებულია - 98,8%-ით.

გადასახადები შემოსულია 30 167,1 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 306,3 ათ. ლარის, შესრულებამ შეადგინა - 99,5%. შესრულებას დააკლდა - 139,2 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო) შემოსულია - 4 746,9 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 4 451,0 ათ. ლარის, შესრულებამ შეადგინა - 106,6 %. გეგმის ზევით შემოსულია - 295,9 ათ. ლარი.

შემოსავლები არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმით გათვალისწინებულია - 1 450,0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულია - 1 957,2 ათ. ლარი. შესრულებამ შეადგინა - 135,0 %. დამატებით შემოსულია - 507,2 ათ. ლარი.

შემოსავლები გადასახადის სახეების მიხედვით შემდეგია:

- გადასახადები ქონებაზე შემოსულია - 4 328,0 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 3570,0 ათ. ლარის. შესრულებამ შეადგინა - 121,2 %. გეგმის ზევით შემოსულია - 758,0 ათ. ლარი,

- დამატებული ღირებულების გადასახადი შემოსულია - 25 839,1 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 26 736,3 ათ. ლარის. შესრულებამ შეადგინა - 96,6 %. გეგმის შესრულებას დააკლდა - 897,2 ათ. ლარი

სხვა შემოსავლების (არასაგადასახადო) მობილიზება სახეების მიხედვით შემდეგია:

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია - 55,7 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 70,0 ათ. ლარისა, შესრულებამ შეადგინა - 79,5%. შესრულებას დააკლდა - 14,3 ათ. ლარი.

- შემოსავალი მიწის იჯარიდან შემოსულია - 263,9 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 240,0 ათ. ლარისა, შესრულებამ შეადგინა - 110,0%. გეგმის ზევით შემოსულია - 23,9 ათ. ლარი.

- სანებართვო მოსაკრებელი (მშენებლობის ნებართვისათვის) შემოსულია - 321,2 ათ. ლარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 270,0 ათ. ლარისა, გეგმის ზევით შემოსულია - 30,2 ათ. ლარი. შესრულებამ შეადგინა - 119,0%.

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი შემოსულია - 97,2 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 80,0 ათ. ლარისა, შესრულებამ შეადგინა - 121,5 %. დამატებით შემოსულია - 17,2 ათ. ლარი.

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსულია - 408,2 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 430,0 ათ. ლარის, შესრულებამ შეადგინა - 94,9%. გეგმის შესრულებას დააკლდა - 21,8 ათ. ლარი.

- შემოსავალი ქონების იჯარიდან შემოსულია - 47,2 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 75,0 ათ. ლარის, შესრულებამ შეადგინა - 63,0%, შესრულებას დააკლდა - 27,8 ათ. ლარი.

- შემოსავალი პროცენტებიდან მიღებულია - 676,0 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 630,0 ათ. ლარის, შესრულებამ შეადგინა - 107,3%, დამატებით შემოსულია - 45,9 ათ. ლარი.

- ჯარიმებიდან, სანქციები და საურავებიდან შემოსულია - 2 635,0 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 2 600,0 ათ. ლარის, შესრულებამ შეადგინა - 101,3%. დამატებით შემოსულია - 35,0 ათ. ლარი.

ხარჯების დაფინანსება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით განხორციელდა შემდეგი სახით:

- მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯებზე მიმართულია - 6 472,8 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 6 974,3 ათ. ლარის, დაფინანსებულია - 92,8%-ით.

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე მიმართულია 23 188,5 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 28 032,6 ათ. ლარისა, დაფინანსდა 82,7%-ით.

- დასუფთავება და გარემოს დაცვაზე მიმართულია - 2 006,8 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 2 395,4 ათ. ლარისა, დაფინანსდა - 83,8%-ით.

- განათლების სფერო დაფინანსდა - 8 414,9 ათ. ლარით, გეგმით გათვალისწინებული - 8 730,2 ათ. ლარის ნაცვლად, დაფინანსებულია - 96,4 %-ით.

- კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობის და სპორტის ღონისძიებების დაფინანსებაზე მიმართულია - 4 497,1 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 4 857,7 ათ. ლარის, დაფინანსებულია - 92,6%-ით

- სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები და პროგრამები დაფინანსდა - 2 680,1 ათ. ლარით, გეგმა ითვალისწინებდა - 3 080,4 ათ. ლარს, დაფინანსებულია - 87,0%-ით.

- ეკონომიკური განვითარების პროგრამების დაფინანსებაზე მიმართულია - 1 983,9 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 2 842,9 ათ. ლარისა. დაფინანსდა 69,8%-ით.

დაფინანსებები ეკონომიკური ელემენტების მიხედვით (მუხლობრივად) განხორციელდა შემდეგი სახით:

- შრომის ანაზღაურებაზე მიმართა - 2 799,9 ათ. ლარი, გეგმით გათვალისწინებული - 2 826,6 ათ. ლარის ნაცვლად, დაფინანსებულია - 99,1%-ით.

- საქონელი და მომსახურებაზე მიმართულია - 4 282,6 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 4 848,1 ათ. ლარის, დაფინანსებულია - 88,3%-ით.
 - პროცენტის დასაფარავად მიმართულია - 832,1 ათ. ლარი. დაფინანსებულია - 100 %-ით.
 - სუბსიდიებზე მიმართულია - 16 465,9 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 388,7 ათ. ლარის, დაფინანსებულია - 89,5%-ით.
 - გრანტებზე მიმართულია - 11,7 ათ. ლარი. დაფინანსებულია - 48,4%-ით.
 - სოციალურ უზრუნველყოფაზე მიმართულია - 1 667,5 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 1 931,2 ათ. ლარისა, დაფინანსებულია - 86,3%-ით.
 - სხვა ხარჯები დაფინანსებულია - 1 123,0 ათ. ლარით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 2 542,1 ათ. ლარისა, დაფინანსებულია - 44,2%-ით.
 - არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია - 20 911,7 ათ. ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული - 24 370,9 ათ. ლარისა, დაფინანსებულია 85,8%-ით.
 - ვალდებულებების შემცირებაზე მიმართულია - 1 149,7 ათ. ლარი, დაფინანსებულია - 100%-ით.
- საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვა არ განხორციელებულა.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის
შემოსავლებიგორის
მუნიციპალიტე
ტი
ფორმა # 1

ანგარიშგებ 01/01/2023 - 01/07/2023

ის

პერიოდი:

პირდაპირი ჩარიცხვების გარეშე

| შემოს. კლას. კოდი | დასახელება | წლიური გეგმა | მეორე კვარტლის გეგმა | შესრულება | შესრულების % | გადახრა |
|-------------------------|--|-----------------|----------------------------|-------------------|-----------------|-----------------|
| 0 | ჯამური | 81712717 | 45266500 | 45 819 225 | 101,2 | 552 725 |
| 1 | შემოსავლები | 79642717 | 43816500 | 43 862 043 | 100,1 | 45 543 |
| 1.1 | გადასახადები | 59022700 | 30306300 | 30 167 122 | 99,5 | -139 178 |
| 1.1.3 | გადასახადები ქონებაზე | 5550000 | 3570000 | 4 327 995 | 121,2 | 757 995 |
| 1.1.3.1 | გადასახადები უძრავ ქონებაზე | | | 4 327 995 | | |
| 1.1.3.1.1 | ქონების გადასახადი | 5550000 | 3570000 | 4 327 995 | 121,2 | 757 995 |
| 1.1.3.1.1.1 | საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3870000 | 3310000 | 4 137 153 | 125,0 | 827 153 |
| 1.1.3.1.1.2 | უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | | 1 563 | | |
| 1.1.3.1.1.3 | ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 52000 | | 3 491 | | 3 491 |
| 1.1.3.1.1.3.2 | არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე | | | 3 491 | | |
| 1.1.3.1.1.4 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 952000 | 100000 | 129 942 | 129,9 | 29 942 |
| 1.1.3.1.1.4.1 | ფიზიკური პირებიდან | 942000 | 90000 | 124 175 | 138,0 | 34 175 |
| 1.1.3.1.1.4.2 | იურიდიული პირებიდან | 10000 | 10000 | 5 767 | 57,7 | -4 233 |
| 1.1.3.1.1.5 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 676000 | 160000 | 55 846 | 34,9 | -104 154 |
| 1.1.3.1.1.5.1 | ფიზიკური პირებიდან | 161000 | 135000 | 35 251 | 26,1 | -99 749 |
| 1.1.3.1.1.5.2 | იურიდიული პირებიდან | 515000 | 25000 | 20 595 | 82,4 | -4 405 |
| 1.1.4 | გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე | 53472700 | 26736300 | 25 839 127 | 96,6 | -897 173 |
| 1.1.4.1 | საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე | | | 25 839 127 | | |
| 1.1.4.1.1 | დამატებული ღირებულების გადასახადი | 53472700 | 26736300 | 25 839 127 | 96,6 | -897 173 |
| 1.1.4.1.1.1 | საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან | | | 9 666 142 | | |
| 1.1.4.1.1.2 | იმპორტირებული პროდუქციიდან | | | 16 172 985 | | 16 172 985 |
| 1.3 | გრანტები | 13040117 | 9059200 | 8 948 063 | 98,8 | -111 137 |
| 1.3.1 | საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | | | 135 073 | | 135 073 |

| | | | | | | |
|---------------|---|-----------------|----------------|------------------|--------------|-----------------|
| 1.3.1.2 | კაპიტალური დანიშნულების გრანტები | | | 135 073 | | |
| 1.3.3 | სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები | 13040117 | 9059200 | 8 812 990 | 97,3 | -246 210 |
| 1.3.3.1 | მიმდინარე | | | 1 391 568 | | 1 391 568 |
| 1.3.3.1.1 | გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან | 13040117 | 1392000 | 1 391 568 | 100,0 | -432 |
| 1.3.3.1.1.1 | გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | | | 1 391 568 | | |
| 1.3.3.1.1.1.2 | მიზნობრივი ტრანსფერი | 1766371 | 1392000 | 1 391 568 | 100,0 | -432 |
| 1.3.3.2 | კაპიტალური | 11273746 | 7667200 | 7 421 422 | 96,8 | -245 778 |
| 1.3.3.2.1 | გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან | 11273746 | 7667200 | 7 421 422 | 96,8 | -245 778 |
| 1.3.3.2.1.1 | გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | | | 7 421 422 | | |
| 1.3.3.2.1.1.2 | კაპიტალური ტრანსფერი | 10418946 | 6812400 | 6 566 622 | 96,4 | -245 778 |
| 1.3.3.2.1.1.9 | სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 854800 | 854800 | 854 800 | 100,0 | 0 |
| 1.4 | სხვა შემოსავლები | 7579900 | 4451000 | 4 746 858 | 106,6 | 295 858 |
| 1.4.1 | შემოსავლები საკუთრებიდან | 2055000 | 940000 | 995 586 | 105,9 | 55 586 |
| 1.4.1.1 | პროცენტები | 1375000 | 630000 | 675 954 | 107,3 | 45 954 |
| 1.4.1.1.2 | რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა | | | 675 954 | | |
| 1.4.1.1.2.4 | დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები | 1375000 | 630000 | 675 954 | 107,3 | 45 954 |
| 1.4.1.5 | რენტა | 680000 | 310000 | 319 632 | 103,1 | 9 632 |
| 1.4.1.5.1 | მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 200000 | 70000 | 55 684 | 79,5 | -14 316 |
| 1.4.1.5.1.1 | მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის | | | 9 541 | | |
| 1.4.1.5.1.2 | მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის | | | 14 380 | | |
| 1.4.1.5.1.4 | მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის | | | 8 199 | | |
| 1.4.1.5.1.6 | მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე | | | 401 | | |
| 1.4.1.5.1.9 | სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი | | | 23 163 | | |
| 1.4.1.5.4 | შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 480000 | 240000 | 263 948 | 110,0 | 23 948 |

| | | | | | | |
|---------------|--|----------------|---------------|----------------|--------------|---------------|
| 1.4.1.5.4.2 | სახელმწიფო მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე და არ არის ადგილობრივი თვითმმ | | | 99 644 | | |
| 1.4.1.5.4.6 | ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი | | | 164 304 | | |
| 1.4.2 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 1712900 | 856000 | 876 688 | 102,4 | 20 688 |
| 1.4.2.2 | ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1562000 | 781000 | 829 448 | 106,2 | 48 448 |
| 1.4.2.2.3 | სანებართვო მოსაკრებლები | 400000 | 270000 | 321 188 | 119,0 | 51 188 |
| 1.4.2.2.3.12 | მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე | | | 321 188 | | |
| 1.4.2.2.9 | საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | | 23 | | |
| 1.4.2.2.12 | სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 2000 | 1000 | 2 800 | 280,0 | 1 800 |
| 1.4.2.2.13 | სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 160000 | 80000 | 97 200 | 121,5 | 17 200 |
| 1.4.2.2.13.2 | სათამაშო აპარატებიდან | | | 97 200 | #DIV/0! | 97 200 |
| 1.4.2.2.14 | მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 1000000 | 430000 | 408 237 | 94,9 | -21 763 |
| 1.4.2.3 | არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები | 150900 | 75000 | 47 240 | 63,0 | -27 760 |
| 1.4.2.3.2 | შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 150900 | 75000 | 47 240 | 63,0 | -27 760 |
| 1.4.2.3.2.1 | შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | | | 21 448 | | |
| 1.4.2.3.2.1.7 | ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, მიღებული შემოსავალი | | | 21 448 | | |

| | | | | | | |
|---------------|---|----------------|----------------|------------------|--------------|---------------|
| 1.4.2.3.2.2 | შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | | | 25 793 | | |
| 1.4.2.3.2.2.7 | ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, მიღებული შემოსავალი | | | 25 793 | | |
| 1.4.3 | სანქციები, ჯარიმები და საურავები | 3700000 | 2600000 | 2 634 939 | 101,3 | 34 939 |
| 1.4.3.1 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | | | 2 593 639 | | |
| 1.4.3.1.1 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში | | | 7 216 | | |
| 1.4.3.1.3 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში | | | 1 000 | | |
| 1.4.3.1.3.5 | სხვა შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში | | | 1 000 | | |
| 1.4.3.1.5 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მრეწველობის, ელექტრონული და თბოენერჯის გამოყენების დარგში | | | 1 000 | | |
| 1.4.3.1.7 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში | | | 2 535 459 | | |
| 1.4.3.1.7.1 | საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო | | | 2 479 181 | | |
| 1.4.3.1.7.3 | უბილეთო მგზავრობის გამო | | | 5 600 | | |

| | | | | | | |
|---------------|--|--|--|--------|--|--|
| 1.4.3.1.7.4 | საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო | | | 4 764 | | |
| 1.4.3.1.7.9 | სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში | | | 45 915 | | |
| 1.4.3.1.7.9.2 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის | | | 96 | | |
| 1.4.3.1.7.9.5 | სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში | | | 45 819 | | |
| 1.4.3.1.8 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში | | | 2 701 | | |
| 1.4.3.1.8.2 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში | | | 2 701 | | |
| 1.4.3.1.9 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | | | 1 000 | | |
| 1.4.3.1.10 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | | | 36 963 | | |
| 1.4.3.1.10.3 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | | | 36 963 | | |
| 1.4.3.1.99 | შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | | | 8 300 | | |

| | | | | | | |
|------------------|--|----------------|----------------|------------------|--------------|----------------|
| 1.4.3.4 | შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო | | | 41 300 | | |
| 1.4.4 | ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 112000 | 55000 | 239 645 | 435,7 | 184 645 |
| 1.4.4.1 | მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | | | 210 374 | #DIV/0! | |
| 1.4.4.1.2 | სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | | | 210 374 | | |
| 1.4.4.1.2.99 | სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | | | 210 374 | | |
| 1.4.4.1.2.99.2 | სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანისანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი | | | 6 750 | | |
| 1.4.4.1.2.99.2.5 | სახელმწიფოსადმი მიყენებული სხვა ზიანისანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი | | | 6 750 | | |
| 1.4.4.1.2.99.4 | შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან | | | 180 387 | | |
| 1.4.4.1.2.99.9 | წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები | | | 23 236 | | |
| 1.4.4.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | | | 29 272 | | |
| 1.4.4.2.1 | სხვა კაპიტალური შემოსავალი რომელიც მოიცავ ფულად შემოწირულობებს და სხვა ნებაყოფლობით ტრანსფერებს, რომლებსაც ფიზ. პირები, კერძო არამომგებიანი ორგანიზაციები, არასამთავრობო ფონდები და ორგანიზაციები, საწარმ. და კორპორ.(მთავრობისა და საერთ.ორგანიზაციების გარდა) გადასცემენ სახელმწიფოს | | | 29 272 | | |
| 31 | არაფინანსური აქტივების კლება | 2070000 | 1450000 | 1 957 183 | 135,0 | 507 183 |
| 31.1 | ძირითადი აქტივები | 160000 | 50000 | 19 856 | 39,7 | -30 145 |
| 31.1.1 | შენობა ნაგებობები | | | 19 856 | | |
| 31.1.1.2 | არასაცხოვრებელი შენობები | | | 19 856 | | |

| | | | | | | |
|-------------|--|----------------|----------------|-------------------|--------------|----------------|
| 31.1.1.2.3 | შემოსულობა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ.თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფოს სარგებლობაშია | | | 19 856 | #DIV/0! | |
| 31.4 | არაწარმოებული აქტივები | 1910000 | 1400000 | 1 937 327 | 138,4 | 537 327 |
| 31.4.1 | მიწა | 1910000 | 1400000 | 1 937 327 | 138,4 | 537 327 |
| 31.4.1.2 | შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე | | | 222 503 | | |
| 31.4.1.4 | შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან | | | 1 608 239 | | |
| 31.4.1.6 | შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე | | | 106 585 | | |
| 41 | წმინდა წლის დასაწყისისათვის | | | 16 372 016 | | |
| 41.1 | წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები | | | 16 372 016 | | |

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

ფორმა # E6

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე,პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი,მთავრობის
სარეზერვო ფონდი,რეგიონების სარეზერვო ფონდი,დავალიანების დაფარვის
ფონდი,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი,თვითმართვებლობის
იურიდიული თარიღით

საინვესტიციო
პირდაპირი
ჩარიცხვებით
თარიღი
(ხარჯი):
01/07/2023
თარიღი (გეგმა):
01/07/2023

პერიოდი (გეგმა):
6 თვე

დანართი #2

| ორგანიზა ც. კოდი | დასახელება | წლიური ასიგნება | კვარტალური გეგმა | გადახდა | შესრულების % |
|------------------------|--|--------------------|---------------------|---------------|-----------------|
| 00 | ჯამური | | | | |
| 00 | ჯამური | 97 906 584,30 | 56 914 574,78 | 49 244 121,45 | 86,5 |
| 2 | ხარჯები | 55 720 316,15 | 31 393 958,15 | 27 182 715,86 | 86,6 |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 6 323 700,00 | 2 826 635,00 | 2 799 924,95 | 99,1 |
| 2.1.1.1.1 | თანამდებობრივი სარგო | | | 2 601 582,59 | |
| 2.1.1.1.4 | დანამატი | | | 198 342,36 | |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 7 206 896,15 | 4 848 097,15 | 4 282 591,87 | 88,3 |
| 2.2.1 | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | | | 234 962,70 | |
| 2.4 | პროცენტი | 1 569 000,00 | 833 100,00 | 832 088,00 | 99,9 |
| 2.5 | სუბსიდიები | 32 358 175,00 | 18 388 728,00 | 16 465 915,46 | 89,5 |
| 2.6 | გრანტები | 24 160,00 | 24 160,00 | 11 690,00 | 48,4 |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 2 794 373,00 | 1 931 153,00 | 1 667 468,09 | 86,3 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 5 444 012,00 | 2 542 085,00 | 1 123 037,49 | 44,2 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 39 876 268,15 | 24 370 916,63 | 20 911 734,59 | 85,8 |
| 33 | ვალდებულებების კლება | 2 310 000,00 | 1 149 700,00 | 1 149 671,00 | 100,0 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | | | | |
| 00 | ჯამური | 14 426 600,00 | 6 974 300,00 | 6 472 821,38 | 92,8 |
| 2 | ხარჯები | 11 208 600,00 | 5 326 600,00 | 4 877 898,37 | 91,6 |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 6 323 700,00 | 2 826 635,00 | 2 799 924,95 | 99,1 |
| 2.1.1.1.1 | თანამდებობრივი სარგო | | | 2 601 582,59 | |
| 2.1.1.1.4 | დანამატი | | | 198 342,36 | |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 2 283 400,00 | 1 260 865,00 | 1 032 883,49 | 81,9 |
| 2.2.1 | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | | | 234 962,70 | |
| 2.4 | პროცენტი | 1 569 000,00 | 833 100,00 | 832 088,00 | 99,9 |
| 2.5 | სუბსიდიები | 470 000,00 | 139 000,00 | 63 955,69 | 46,0 |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 76 000,00 | 41 000,00 | 33 803,35 | 82,4 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 486 500,00 | 226 000,00 | 115 242,89 | 51,0 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 908 000,00 | 498 000,00 | 445 252,01 | 89,4 |
| 33 | ვალდებულებების კლება | 2 310 000,00 | 1 149 700,00 | 1 149 671,00 | 100,0 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | | | | |

| | | | | | |
|-----------------|--|--------------|--------------|--------------|------|
| 00 | ჯამური | 9 405 100,00 | 4 678 000,00 | 4 358 917,68 | 93,2 |
| 2 | ხარჯები | 8 827 100,00 | 4 195 000,00 | 3 925 041,67 | 93,6 |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 6 323 700,00 | 2 826 635,00 | 2 799 924,95 | 99,1 |
| 2.1.1.1.1 | თანამდებობრივი სარგო | | | 2 601 582,59 | |
| 2.1.1.1.4 | დანამატი | | | 198 342,36 | |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 2 180 900,00 | 1 203 365,00 | 992 439,49 | 82,5 |
| 2.2.1 | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | | | 234 962,70 | |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 76 000,00 | 41 000,00 | 33 803,35 | 82,4 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 246 500,00 | 124 000,00 | 98 873,88 | 79,7 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 578 000,00 | 483 000,00 | 433 876,01 | 89,8 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | | | | |
| 00 | ჯამური | 1 693 100,00 | 846 900,00 | 783 316,85 | 92,5 |
| 2 | ხარჯები | 1 678 100,00 | 836 900,00 | 783 316,85 | 93,6 |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 1 107 000,00 | 513 000,00 | 510 855,50 | 99,6 |
| 2.1.1.1.1 | თანამდებობრივი სარგო | | | 506 583,31 | |
| 2.1.1.1.4 | დანამატი | | | 4 272,19 | |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 435 600,00 | 252 900,00 | 205 452,39 | 81,2 |
| 2.2.1 | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | | | 33 660,00 | |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 8 000,00 | 4 000,00 | 3 401,05 | 85,0 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 127 500,00 | 67 000,00 | 63 607,91 | 94,9 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15 000,00 | 10 000,00 | | 0,0 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | | | | |
| 00 | ჯამური | 7 478 000,00 | 3 707 600,00 | 3 468 127,61 | 93,5 |
| 2 | ხარჯები | 6 915 000,00 | 3 234 600,00 | 3 034 251,60 | 93,8 |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 5 049 700,00 | 2 233 000,00 | 2 213 734,38 | 99,1 |
| 2.1.1.1.1 | თანამდებობრივი სარგო | | | 2 023 435,20 | |
| 2.1.1.1.4 | დანამატი | | | 190 299,18 | |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 1 690 300,00 | 916 600,00 | 760 602,09 | 83,0 |
| 2.2.1 | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | | | 197 342,70 | |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 60 000,00 | 30 000,00 | 25 925,30 | 86,4 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 115 000,00 | 55 000,00 | 33 989,83 | 61,8 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 563 000,00 | 473 000,00 | 433 876,01 | 91,7 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური | | | | |
| 00 | ჯამური | 234 000,00 | 123 500,00 | 107 473,22 | 87,0 |
| 2 | ხარჯები | 234 000,00 | 123 500,00 | 107 473,22 | 87,0 |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 167 000,00 | 80 635,00 | 75 335,07 | 93,4 |
| 2.1.1.1.1 | თანამდებობრივი სარგო | | | 71 564,08 | |
| 2.1.1.1.4 | დანამატი | | | 3 770,99 | |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 55 000,00 | 33 865,00 | 26 385,01 | 77,9 |
| 2.2.1 | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | | | 3 960,00 | |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 8 000,00 | 7 000,00 | 4 477,00 | 64,0 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 4 000,00 | 2 000,00 | 1 276,14 | 63,8 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | | | | |
| 00 | ჯამური | 4 864 000,00 | 2 211 800,00 | 2 059 890,69 | 93,1 |
| 2 | ხარჯები | 2 224 000,00 | 1 047 100,00 | 898 843,69 | 85,8 |

| | | | | | |
|--------------------|---|--------------|--------------|--------------|-------|
| 2.4 | პროცენტი | 1 569 000,00 | 833 100,00 | 832 088,00 | 99,9 |
| 2.5 | სუბსიდიები | 470 000,00 | 139 000,00 | 63 955,69 | 46,0 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 185 000,00 | 75 000,00 | 2 800,00 | 3,7 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 330 000,00 | 15 000,00 | 11 376,00 | 75,8 |
| 33 | ვალდებულებების კლება | 2 310 000,00 | 1 149 700,00 | 1 149 671,00 | 100,0 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | | | | |
| 00 | ჯამური | 400 000,00 | 50 000,00 | | 0,0 |
| 2 | ხარჯები | 100 000,00 | 50 000,00 | | 0,0 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 100 000,00 | 50 000,00 | | 0,0 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 300 000,00 | 0,00 | | |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | | | | |
| 00 | ჯამური | 3 964 000,00 | 2 007 800,00 | 1 984 559,00 | 98,8 |
| 2 | ხარჯები | 1 654 000,00 | 858 100,00 | 834 888,00 | 97,3 |
| 2.4 | პროცენტი | 1 569 000,00 | 833 100,00 | 832 088,00 | 99,9 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 85 000,00 | 25 000,00 | 2 800,00 | 11,2 |
| 33 | ვალდებულებების კლება | 2 310 000,00 | 1 149 700,00 | 1 149 671,00 | 100,0 |
| 01 02 02 02 | მ.გ.ფ. და სხვა ვალდებულებების დაფარვა | | | | |
| 00 | ჯამური | 3 879 000,00 | 1 982 800,00 | 1 981 759,00 | 99,9 |
| 2 | ხარჯები | 1 569 000,00 | 833 100,00 | 832 088,00 | 99,9 |
| 2.4 | პროცენტი | 1 569 000,00 | 833 100,00 | 832 088,00 | 99,9 |
| 33 | ვალდებულებების კლება | 2 310 000,00 | 1 149 700,00 | 1 149 671,00 | 100,0 |
| 01 02 02 03 | სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული და მომსახურების გაწევის სააღსრულებლო ხარჯი | | | | |
| 00 | ჯამური | 85 000,00 | 25 000,00 | 2 800,00 | 11,2 |
| 2 | ხარჯები | 85 000,00 | 25 000,00 | 2 800,00 | 11,2 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 85 000,00 | 25 000,00 | 2 800,00 | 11,2 |
| 01 02 03 | გორის მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობა | | | | |
| 00 | ჯამური | 500 000,00 | 154 000,00 | 75 331,69 | 48,9 |
| 2 | ხარჯები | 470 000,00 | 139 000,00 | 63 955,69 | 46,0 |
| 2.5 | სუბსიდიები | 470 000,00 | 139 000,00 | 63 955,69 | 46,0 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 30 000,00 | 15 000,00 | 11 376,00 | 75,8 |
| 01 03 | საგანგებო და ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფა | | | | |
| 00 | ჯამური | 55 000,00 | 27 000,00 | 13 569,01 | 50,3 |
| 2 | ხარჯები | 55 000,00 | 27 000,00 | 13 569,01 | 50,3 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 55 000,00 | 27 000,00 | 13 569,01 | 50,3 |

| | | | | | |
|-----------------|---|---------------|---------------|---------------|------|
| 01 04 | კადრების მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირება | | | | |
| 00 | ჯამური | 102 500,00 | 57 500,00 | 40 444,00 | 70,3 |
| 2 | ხარჯები | 102 500,00 | 57 500,00 | 40 444,00 | 70,3 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 102 500,00 | 57 500,00 | 40 444,00 | 70,3 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | | | | |
| 00 | ჯამური | 46 732 217,21 | 28 032 605,69 | 23 188 525,01 | 82,7 |
| 2 | ხარჯები | 10 165 070,00 | 5 805 610,00 | 4 035 070,47 | 69,5 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 3 757 685,00 | 2 562 535,00 | 2 237 750,18 | 87,3 |
| 2.5 | სუბსიდიები | 1 944 400,00 | 1 182 537,00 | 969 171,50 | 82,0 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 4 462 985,00 | 2 060 538,00 | 828 148,79 | 40,2 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 36 567 147,21 | 22 226 995,69 | 19 153 454,54 | 86,2 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | | | | |
| 00 | ჯამური | 23 290 170,47 | 16 518 947,47 | 15 215 018,56 | 92,1 |
| 2 | ხარჯები | 1 368 285,00 | 1 248 285,00 | 1 167 945,88 | 93,6 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 1 368 285,00 | 1 248 285,00 | 1 167 945,88 | 93,6 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 21 921 885,47 | 15 270 662,47 | 14 047 072,68 | 92,0 |
| 02 01 01 | გზების მოვლა-შენახვა | | | | |
| 00 | ჯამური | 1 200 000,00 | 1 200 000,00 | 1 139 002,63 | 94,9 |
| 2 | ხარჯები | 1 200 000,00 | 1 200 000,00 | 1 139 002,63 | 94,9 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 1 200 000,00 | 1 200 000,00 | 1 139 002,63 | 94,9 |
| 02 01 02 | გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია | | | | |
| 00 | ჯამური | 20 945 770,47 | 14 666 187,47 | 13 471 088,21 | 91,9 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 20 945 770,47 | 14 666 187,47 | 13 471 088,21 | 91,9 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობა | | | | |
| 00 | ჯამური | 112 353,00 | 12 353,00 | 11 992,46 | 97,1 |
| 2 | ხარჯები | 112 353,00 | 12 353,00 | 11 992,46 | 97,1 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 112 353,00 | 12 353,00 | 11 992,46 | 97,1 |
| 02 01 04 | გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის შექმნა და მოვლა-შენახვა | | | | |
| 00 | ჯამური | 1 032 047,00 | 640 407,00 | 592 935,26 | 92,6 |
| 2 | ხარჯები | 55 932,00 | 35 932,00 | 16 950,79 | 47,2 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 55 932,00 | 35 932,00 | 16 950,79 | 47,2 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 976 115,00 | 604 475,00 | 575 984,47 | 95,3 |
| 02 02 | გარე განათება | | | | |
| 00 | ჯამური | 2 567 208,00 | 1 458 264,00 | 1 410 774,53 | 96,7 |
| 2 | ხარჯები | 1 992 000,00 | 1 181 056,00 | 1 138 449,08 | 96,4 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 1 650 000,00 | 955 000,00 | 948 561,57 | 99,3 |
| 2.5 | სუბსიდიები | 342 000,00 | 226 056,00 | 189 887,51 | 84,0 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 575 208,00 | 277 208,00 | 272 325,45 | 98,2 |
| 02 02 01 | გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა | | | | |
| 00 | ჯამური | 345 000,00 | 229 056,00 | 189 887,51 | 82,9 |
| 2 | ხარჯები | 342 000,00 | 226 056,00 | 189 887,51 | 84,0 |

| | | | | | |
|-----------------|--|--------------|--------------|--------------|------|
| 2.5 | სუბსიდიები | 342 000,00 | 226 056,00 | 189 887,51 | 84,0 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 000,00 | 3 000,00 | | 0,0 |
| 02 02 02 | გარე განათების ელექტროენერჯის ღირებულება | | | | |
| 00 | ჯამური | 1 650 000,00 | 955 000,00 | 948 561,57 | 99,3 |
| 2 | ხარჯები | 1 650 000,00 | 955 000,00 | 948 561,57 | 99,3 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 1 650 000,00 | 955 000,00 | 948 561,57 | 99,3 |
| 02 02 03 | გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია | | | | |
| 00 | ჯამური | 572 208,00 | 274 208,00 | 272 325,45 | 99,3 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 572 208,00 | 274 208,00 | 272 325,45 | 99,3 |
| 02 03 | წყლის სისტემის განვითარება | | | | |
| 00 | ჯამური | 5 570 287,03 | 3 268 276,88 | 2 162 705,03 | 66,2 |
| 2 | ხარჯები | 1 483 750,00 | 782 103,00 | 574 564,65 | 73,5 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 410 000,00 | 208 000,00 | 120 036,73 | 57,7 |
| 2.5 | სუბსიდიები | 1 061 400,00 | 561 753,00 | 454 527,92 | 80,9 |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 12 350,00 | 12 350,00 | | 0,0 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 086 537,03 | 2 486 173,88 | 1 588 140,38 | 63,9 |
| 02 03 01 | სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია | | | | |
| 00 | ჯამური | 4 064 022,03 | 2 463 658,88 | 1 583 425,49 | 64,3 |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 064 022,03 | 2 463 658,88 | 1 583 425,49 | 64,3 |
| 02 03 02 | სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურება | | | | |
| 00 | ჯამური | 350 000,00 | 178 000,00 | 108 594,30 | 61,0 |
| 2 | ხარჯები | 350 000,00 | 178 000,00 | 108 594,30 | 61,0 |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 350 000,00 | 178 000,00 | 108 594,30 | 61,0 |
| 02 03 03 | წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა | | | | |
| 00 | ჯამური | 1 064 400,00 | 564 753,00 | 457 464,92 | 81,0 |
| 2 | ხარჯები | 1 061 400,00 | 561 753,00 | 454 527,92 | 80,9 |
| 2.5 | სუბსიდიები | 1 061 400,00 | 561 753,00 | 454 527,92 | 80,9 |
